ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №160
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
<u>სამუშაოს შესყიდვა</u>

ქ. ზესტაფონი 11 [illegible], 2012 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ მასხარაშვილის სახით (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11) (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ინდ/მეწარმე „ზურაბ ფერაძის" სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივნვრის №162 განკარგულების შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გამოყოფილი თანხებიდან სამუშაოების შესყიდა კოდი–45200000

2. შესყიდვის ობიექტი

მე-2 სვირის თემში სოფ. სადგურ სვირში ყოფილი ფოსტის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საბავშვო ბაღისათვის) 9216 ლარით

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 9216 (ცხრაათას ორას თექვსმეტი) ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 13 [illegible]

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
7.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 ივნისის № 100 ბრძანებით შექმნილი კომისია

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
9.3გამოყენებული იქნება წინასწარი გადახდის მექანიზმი საერთო ღირებულების - 40 %-ის ოდენობით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, წარმოუდგენლობის შრმთხვევაში დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად 80 %-ის ფარგლებში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს (ფორმა № 2) შესაბამისად.

9.4. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოს დასრულების, მიღება ჩაბარების აქტის (ფორმა №2) წარმოდგენისა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამსახურის დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 საბანკო დღის განმავლობაში.

9.5. სამუშაოს მიწოდების ადგილია ზესტაფონი, მეორე სვირის თემის სოფ. სადგურ სვირი.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,3%.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის [illegible]

13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე მერაბ მასხარაშვილი

სს „ლიბერთი ბანკი"-ს

ზესტაფონის ფილიალი

ბ/კოდი LBRTGE22

ა/ა № GE03LB0120177576710000

ს/კოდი: 230087045

მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. 11

მიმწოდებელი

ინდ. მეწარმე

„ზურაბ ფერაძე"

18001048000

სს „საქართველოს ბანკი"

კოდი: ბ/კ BAGAGE22

ა/ა № GE24BG0000000266122400

ს/კოდი: 18001048000

მის: ქ. ზესტაფონი, სოფ. ზედა საქარა

ტელ: 598 74-18-42

შეთანხმებულია:

გივი არაბიძე
გამგებელი

ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

იურისტი:

შესაბამისი სამსახურის უფროსი:

ხელწერილი ინტერესთა კომფლიქტის არ არსებობის შესახებ

2012 წლის 11 [illegible]

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 ივნისის № 100 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში **ინ/მეწარმე ზურაბ ფერაძესთან**

მერაბ მასხრაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გაბრიელ კვირიკაშვილი -ინსპექტირევის ჯგუფის ხელმძღვანელი

მიხეილ ფოცხვერაშვილი -ინსპექტირების ჯგუფის წევრი

ავთანდილ კიკნაველიძე-ინსპექტირების ჯგუფის წევრი

თემურ წიწილაშვილი-ინსპექტირების ჯგუფის წევრი